მიუხედავად ამისა, მუსიკის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა ქ. თბილისშიც კი მყარ ნიადაგზე არაა დაყენებული; სკოლის დირექტორებმა ვერ შეძლეს სიმღერა-მუსიკის მასწავლე-

ბელთა და გუნდის ხელმძღვანელთა სისტემატური მონაწილეობა აღნიშნულ გაერთიანებაში; მეცადინეობის პროცესი ძირითადად ამოიწურებოდა სიმღერებზე მუშაობით და გამორიცხული ფორმები.

თბილისის სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა და მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჩაითვალოს სავალდებულოდ თბილისის სკოლების სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა და მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთა დასწრება საქალაქო გაერთიანებაზე თბილისის მასწავლებელთა სახლში; დასწრებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს განათლების განყოფილებათა გამგეებსა და სკოლის დირექტორებს.

2. თბილისის განათლების განყოფილების პედაგოგებმა (ამხ. ვ. მუშკუდიანი, ბ. ბარამიძე) უზრუნველყონ აღნიშნულ გაერთიანებაში სწორი მეთოდური მუშაობის წარმართვა, რისთვისაც მოიწვიონ გამოცდილი სპეციალისტი პედაგოგები.

3. სკოლების დირექტორებმა სიმღერა-მუსიკის მასწავლებლებს შეუქმნან სათანადო პირობები მეთოდგაერთიანებაში ნაყოფიერი მონაწილეობისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების

მართობლივი დადგენილება

სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

1964 წლის 25 სექტემბერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმი ადგენენ:

1. 1964 წლის 15 ოქტომბრიდან 1965 წლის 15 სექტემბრამდე ჩატარდეს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერების შედეგები შეჯამდეს 1965 წლის 15 სექტემბრამდე.

დამტკიცდეს დათვალიერების დებულება (თან ერთვის).

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: უშ. ობოლაძე (თავმჯდომარე), ლ. მაღლაფერიძე, ნ. გურგენიძე, ბ. კიზირია (მდივანი), ვ. ჩინჩალაძე, მ. ლომჯარია, ვ. ოსტროვსკაია.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა

პროფკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, სასოფლო და სამრეწველო კომიტეტების მდივნებს სკოლა-ინტერნატების, ალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დათვალიერების დებულების შესაბამისად, ადგილზე შექმნან დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები 1964 წლის 15 ოქტომბრამდე და გაატარონ საჭირო ღონისძიებები სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების მაღალ დონეზე ჩასატარებლად; დათვალიერების მიმდინარეობაზე წერილობითი მოხსენებები წარმოუდგინონ რესპუბლიკურ კომისიას 1965 წლის 10 ივნისისათვის, დათვალიერების საბოლოო შედეგებზე კი 1965 წლის 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

ა. ჩერქეზია

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქარ-
ველოს რესპუბლიკური კომიტე-
ტის თავმჯდომარე

ლ. მალაფერიძე

საქართველოს სსრ პედაგოგი-
ური საზოგადოების თავმჯ-
დომარე **დ. ლორთქიფანიძე**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერება

I. მიზანი და ამოცანები

საზოგადოებრივმა დათვალიერებამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დონის ამაღლებას სკკპ XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის შესაბამისად, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის საზოგადოებრიობის უფრო ფართო მიზიდვას, აღმზრდელთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას.

საზოგადოებრივი დათვალიერება უნდა დაეხმაროს პედაგოგიურ კოლექტივებს, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს ბავშვთა ყოველმხრივ აღზრდაში.

II- საზოგადოებრივი დათვალიერების დრო

სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერება ტარდება 1964 წლის 15 ოქტომბრიდან 1965 წლის 15 სექტემბრამდე.

III. დათვალიერების მონაწილენი

დათვალიერებაში მონაწილეობს რესპუბლიკის ყველა სკოლა-ინტერნატი, სპეციალური სკოლა-ინტერნატი და საბავშვო სახლი, მზრუნველთა საბჭოები, საშეფო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საშხედრო ნაწილები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

IV. დათვალიერების ხელმძღვანელობა და შედგების შეჯამება



დათვალიერების ჩასატარებლად იქმნება რაიონული, საქალაქო საოლქო, რესპუბლიკური კომისიები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების წარმომადგენელთა შემადგენლობით განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სავაჭრო ორგანიზაციების მონაწილეობით.

თვითეული სკოლა-ინტერნატის, სპეციალური სკოლა-ინტერნატის და საბავშვო სახლის დათვალიერების შედეგებს იხილავს შესაბამისი რაიონული, საქალაქო კომისია და შეაქვს იგი რაიონის (ქალაქის) აღმასკომის, ხოლო ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში—საოლქო აღმასკომისა და ასსრ მინისტრთა საბჭოებში განსახილველად.

ასსრ მინისტრთა საბჭოების, საოლქო, საქალაქო, რაიონული აღმასკომების მიერ განხილული დათვალიერების ყველა მასალა, მოკლე ანგარიში სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მუშაობის გასაუმჯობესებლად ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, აღმასკომების, ასსრ მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებები, სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების საუკეთესო მუშაკთა, მზრუნველთა საბჭოს, შეფების დახასიათებები და ა. შ. წარედგინება რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას 1965 წლის 1 სექტემბრამდე.

V. საზოგადოებრივი დათვალიერების პირობები

დათვალიერების ჩატარების პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციები პრაქტიკულ დახმარებას უნდა უწევდნენ სკოლა-ინტერნატებს, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებს და საბავშვო სახლებს წარმატებით შეასრულონ სკკპ XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებანი. პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ამ სასწავლებლებში მოთავსებული ბავშვების სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების საკითხებზე.

ამ მიზნით საჭიროა ჩატარდეს შემდეგი მუშაობა:

1. ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებასა და სააღმზრდელო მუშაობაში მოწინავე პედაგოგთა მუშაობის შესწავლა და განზოგადება.

2. აღსაზრდელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმ-

ჯობებს; სკოლა-ინტერნატებსა, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში დაწესებული სანიტარული ნორმების მიხედვით საძინებელი ფართობის გადიდება, არსებული შენობების გაფართოება მიშენება დაშენების და ახალი შენობა-ნაგებობათა აშენების გზით;

3. საშეფო ორგანიზაციების მხრივ დახმარების განხორციელება სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მშენებლობის საქმეში, აგრეთვე ცენტრალური გათბობის, წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, ეზო-ქარმიდამოს მოწყობისა და მისასვლელი გზების მოსაწესრიგებლად.

4. დახმარების გაწევა სკოლა-ინტერნატებისა, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისათვის კაპიტალური რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაში; ახალი სასწავლო წლისათვის და ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მზადებაში; ამ მიზნით ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების სრული და რაციონალური გამოყენება, აგრეთვე დამატებითი სახსრების მიზიდვა.


5. სკოლა-ინტერნატებში, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში და საბავშვო სახლებში შეიქმნას ყველა პირობა ბავშვთა შრომითი აღზრდისა და სწავლების განსახორციელებლად; მოეწყოს სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, უზრუნველყოფილ იქნას IX—X კლასის მოსწავლეთა საწარმოო მომზადების ჩატარება იმ სპეციალობის მიხედვით, რომელიც საჭიროა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის.

6. სასწავლო წლის დასაწყისისათვის დამზადდეს და სკოლა-ინტერნატებში, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში და საბავშვო სახლებში მიტანილ იქნას საჭირო მოწყობილობა და თვალსაჩინო ხელსაწყოები საკლასო და სამუშაო ოთახებისა და სახელოსნოებისათვის, უზრუნველყოფილი იქნას ისინი ნედლეულით.

7. გადიდდეს ტექნიკური წრეების რაოდენობა—ნორჩი ავიამოდელისტების, მეტრაქტორების, მეავტომობილეების, მშენებლებისა და სხვ.

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვითმომსახურების გონივრულად დანერგვას სკოლა-ინტერნატებში, სპეცსკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში; ფართოდ იქნენ ჩაბმული აღსაზრდელები საყოფაცხოვრებო შრომაში, სახლების, ავეჯის, ტანსაცმლის რემონტში, სკოლა-ინტერნატების, სპეცსკოლა-ინტერნატის და საბავშვო სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობაში; გაიშალოს

აღსაზრდელთა სოციალისტური შეჯიბრება შენობების მოვლა პატრონობისათვის, მათი 4—5 წლის განმავლობაში ურემონტო ექსპლუატაციისათვის.



9. დახმარება გაეწიოს სკოლა-ინტერნატებს, სპეცსკოლა-ინტერნატებს და საბავშვო სახლებს სანიმუშო დახმარე ნეურნოების შექმნაში, უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობათა როლის ზრდა საბავშვო სახლების მატერიალური ბაზის შექმნაში, ბავშვთა კვების გაუმჯობესებასა და შრომითი სწავლების მოწყობაში.

10. ბავშვთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სკოლა-ინტერნატებში, სპეცსკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მოეწყოს ღია საზაფხულო ესტრადები, სათამაშო მოედნები, დასვენების ზონები ატრაქციონებით.

11. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლა-ინტერნატების, სპეცსკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. ყველა სკოლა-ინტერნატში, სპეცსკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში შეიქმნას და საჭირო ინვენტარითა და მასალებით შეივსოს პიონერთა ოთახი და ოქტომბრელთა კუთხე; შეიქმნას ყველა საჭირო პირობები იმისათვის, რომ თვითეული პიონერული რაზმეული აქტიურად ჩაებას პიონერული რაზმეულების საკავშირო ლენინურ დათვალიერებაში, რომლის პირველი წელი გ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავს ეძღვნება. ჩატარდეს პიონერული აქტივის ყველა რგოლის სწავლება, შერჩეული და გაგზავნილი იქნან საუკეთესო კომკავშირელი წარმომბეძე მუშაკები, უფროსკლასელები და სოფლის ახალგაზრდობის წარმომადგენლები პიონერხელმძღვანელის, სპორტის, ტურიზმის, ნორჩ ნატურალისტთა მუშაობის ინსტრუქტორებად პიონერულ რაზმებსა და რაზმეულებში.

12. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად კომკავშირის საქალაქო, რაიონული კომიტეტების საგზურებით სკოლა-ინტერნატებში, სპეცსკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში გაიგზავნოს საზოგადოებრივი ინსტრუქტორები სპორტული სექციების შესაქმნელად და მათ მუშაობაში დახმარების გასაწევად; მოეწყოს ფიზკულტურული კოლექტივების შეფობა საბავშვო სპორტულ გუნდებზე; აიგოს სასპორტო მოედნები და საბავშვო სტადიონები.

13. მოეწყოს სკოლა-ინტერნატების, სპეცსკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შეუფერხებელი მომარაგება მაღალი ხარისხის სამრეწველო საქონლით: სკოლა-ინტერნატები, სპეცსკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები შეივსოს ყველა საჭირო

მოწყობილობით, ინვენტარით. უზრუნველყოფილი იქნას საზამთრო-
ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დროულად შეკეთება; უზრუნველყოფილი
ფილი იქნას სკოლა-ინტერნატების, სპეცსკოლა-ინტერნატებისა და
საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით მომარაგება და დგენილი
ნორმის შესაბამისად და კერძების დამზადების ხარისხის გაუმჯობ-
ბესება.

14. გაძლიერდეს საზოგადოებრივი კონტროლი სკოლა-ინტერ-
ნატების, სპეცსკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საქ-
მიანობაზე; გაცხოველდეს მზრუნველთა საბჭოების მუშაობა; მოეწყოს
საშეფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სისტემატური დახმა-
რება თითოეული სკოლა-ინტერნატის, სპეცსკოლა-ინტერნატისა და
საბავშვო სახლისადმი.

15. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლა-ინტერნა-
ტების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოშვებულ აღსაზრდელთა სა-
მუშაოზე მოწყობას.

საოლქო, საქალაქო, რაიონული, ავტონომიური რესპუბლი-
კების დამთავლიერებელი კომისიები 1965 წლის 20 აგვისტოდან
1 სექტემბრამდე წარუდგინენ რესპუბლიკურ კომისიას წინადადე-
ბებს დათვალიერებაში გამარჯვებული სკოლა ინტერნატების, სპეც-
სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების კოლექტივების,
მზრუნველთა საბჭოების, საშეფო საწარმოების, დაწესებულებების,
პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, განათლების
განყოფილებათა, აგრეთვე დათვალიერების პერიოდში უფრო მა-
ღალი მაჩვენებლების მქონე ცალკეული მუშაკების დაჯილდოების
შესახებ.

რესპუბლიკური კომისია საზოგადოებრივი დათვალიერების
შედეგებს შეაჯამებს 1965 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამ-
დე და სათანადო წინადადებებს წარუდგენს შესაბამის ორგანოებს.

სიკრულობის აქტი № 3/2071

1964 წლის 29 სექტემბერი

აფსაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-
ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების
განყოფილებათა გამგეებს

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და მისმა ორგა-
ნოებმა შეისწავლეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სა-
ფინანსო-საშტატო დისციპლინის მდგომარეობა, ამასთან დაკავში-
რებით გამოიკვლიეს სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასების
დატვირთვის, განთესვისა და სხვ. საკითხები.

აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრ-
დობის ზოგი სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვისას არღვევს სათანადო
ინსტრუქციას: მოსწავლეთა ერთ ნაწილს სკოლაში არა აქვს წარდ-
გენილი საჭირო საბუთები, ახალმიღებული ახალგაზრდების ჩარი-
ცხვა არ ფორმდება მოსწავლეთა მოძრაობის წიგნში და სხვ.

ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ქ. სოხუმის, ტყვარჩელი-
სა და ბათუმის სკოლებში აღვლილი აქვს გაკვეთილებზე მოსწავლე-
თა დიდი რაოდენობით გამოუცხადებლობას.

რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში
შენიშნულია აგრეთვე ნაკლოვანებანი კლასების დაუტვირთაობისა
და მოსწავლეთა განთესვის საქმეში.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულის შესახებ, გავალებთ მიიღოთ
ზომები თქვენდამი დაქვემდებარებული საღამოს (ცვლის) სკოლე-
ბის მუშაობაში არსებულ მსგავს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. თბოლაძე

საქართველოს სსრ განათლების საზინისტროს 1964
წლის 30 სექტემბრის ბრძანება № 1070

„მსოფლიო გამოფენისათვის — „ბავშვთა შემოქმედება“
მზადების შესახებ

1962 წლის იანვარ-მარტში ამერიკის შეერთებული შტატების
სამ დიდ ქალაქში ჩატარდა გამოფენა „საბჭოთა კავშირის ბავშვ-
თა მხატვრული და ტექნიკური შემოქმედება“, რომელსაც დიდი
წარმატება ხვდა, ექსპონატების უმრავლესობამ მნახველთა მაღალი
შეფასება დაიმსახურა.

კულტურული გაცვლის გეგმის მიხედვით 1965 წლის სექტემ-
ბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ ტარდება საბჭოთა
გამოფენა „ბავშვთა შემოქმედება“. გამოფენაზე გასაგზავნი ექსპო-
ნატების შერჩევის უზრუნველსაყოფად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ


1. შეიქმნას გამოფენისათვის მზადების და ექსპონატების შემ-
რჩევი კომისია:

1. უშ. თბოლაძე—თავმჯდომარე,
2. ჯ. მუჯირი,
3. ჯ. კვარაცხელია,
4. ვ. სულაქველიძე,
5. გ. ეპიტაშვილი,
6. მ. ერისთავი,
7. ნ. ლამბაშიძე—მდივანი.

II. კომისიამ:

1. შეადგინოს და დაგზავნოს ადგილებზე ექსპონატთა სანი-
მუშო ნუსხის დართვით ცირკულარული წერილი გამოფენისათვის
საჭირო ექსპონატების შერჩევისა და წარმოდგენის შესახებ;

2. განიხილოს წარმოდგენილი ექსპონატები და 1965 წლის
20 იანვრისათვის წარუდგინოს წინასწარი განაცხადი რსდსრ გა-
ნათლების საზინისტროს საერთაშორისო კავშირის განყოფილებას.



3. ექსპონატების ვარგისიანობის შესახებ რსფსრ განათლების სამინისტროდან დასტურის მიღების შემდეგ უზრუნველყვეთ ექსპონატების დანიშნულებისამებრ გადაგზავნა არაუგვიანეს 1965 წლის 1 აპრილისა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ჯაშყარიშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაფინანსებლობის მუშაობა პროფკავშირის საპარტიო- ლოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სა- პარტიოლოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯის დადგენილება

1964 წლის 2 ოქტომბერი

საყოველთაო სწავლების საგუშაგოების შესახებ

საყოველთაო სავალდებულო რეაწლიანი სწავლების კანონის წარმატებით განხორციელების მიზნით დაევალოს პროფკავშირის ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტსა და სახალხო განათლების განყოფილებას ა/წ 15 ოქტომბრამდე უზრუნველყონ საყოველთაო სწავლების საგუშაგოების შექმნა ყოველ ქალაქში, რაიონსა და სკოლაში.

რაიონებისა და ქალაქების საგუშაგოების შემადგენლობაში შევიდნენ: პროფკავშირის რაიკომის (ქალაქკომის) თავმჯდომარე (საგუშაგოს უფროსი), განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, გაზეთ „სახალხო განათლების“ შტატგარეშე საკუთარი კორესპონდენტი (მდივანი), კომკავშირის რაიკომის (ქალაქკომის) წარმომადგენელი და მილიციის განყოფილებასთან არსებული ბავშვთა ოთახის უფროსი.

ადგილებზე, სკოლებში შექმნილი საგუშაგოების სათავეში კი უნდა იყვნენ სასკოლო პროფორგანიზაციების თავმჯდომარეები, ხოლო წევრებად—სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ადგილობრივი საბჭოს ერთერთი დეპუტატი, სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

ადგილობრივმა საგუშაგოებმა რაიონულ (საქალაქო) საგუშაგოებს ყოველთვიურად უნდა წარუდგინონ ინფორმაციები სკოლის გარეთ დარჩენილ თუ სწავლებას ჩამოშორებულ ბავშვთა და მოზარდთა სკოლებში ჩასაბმელად გაწეული მუშაობის შესახებ, ხოლო რაიონულმა და საქალაქო საგუშაგოებმა ამ მხრივ სათანადო მასალები ყოველი თვის ბოლოს მააწოდონ პროფკავშირის რესპუ-

ბლიკურ კომიტეტსა და გაზ. „სახალხო განათლების“ რედაქციას.
დაევალოს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საორ-
განიზაციო და საწარმოო მასობრივ განყოფილებას (ამხ. მ. ლომიძე)
ჯარია) და განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს
(ამხ. დ. ჯაფახია) სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუ-
წიონ ამ დადგენილების შესრულებას.

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ შემოიღოს სპეცი-
ალური განყოფილება რუბრიკით „საყოველთაო სწავლების საგუ-
შაგოები გვატყობინებენ“, სადაც სისტემატურად გააშუქოს საგუ-
შაგოთა საქმიანობა საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის
შესრულების საქმეში.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუ-
შაკთა პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტეტის თავ-რე
ლ. მაღლაფერიძე

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
თ. დაშქარაშვილი

დადგენილები

საქართველოს ხსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1964 წლის 2 ოქტომბერი

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1964 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ

მოისმინა რა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის თ. ა. ზახაშვილის ანგარიში 1964 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ, საქართველოს ხსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმში აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და მისმა ფილიალებმა 1964 წლის ზაფხულის პერიოდში სათანადო მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა მეთოდურ-პედაგოგიური დახელოვნებისათვის. ზაფხულის პერიოდში დახელოვნების კურსები გაიარა 2741 მასწავლებელმა და განათლების სხვა მუშაკმა.

ძირითად სასკოლო დისციპლინების მასწავლებლებთან ერთად, წიგნს პირველად გაიარეს დახელოვნების კურსები სახარატო და სამკერვალო საქმის, მეთავეჯობის მასწავლებლებმა, აგრეთვე სიმღერა-მუსიკის მასწავლებლებმა და მომღერალთა სასკოლო გუნდების ხელმძღვანელებმა.

კურსების თემატიკებში სათანადო ასახვა პპოვა სიახლეებმა საგანთა სწავლების სისტემაში.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ლექტორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. ზაფხულის პერიოდში დახელოვნების კურსების მუშაობას სათანადოდ აშუქებდა რესპუბლიკის პედაგოგიური პრესა.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ქ. ქ. ქუთაისის, თბილისის, ბორჯომის, ზესტაფონის, თელავის, ახალქალაქის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, მაიაკოვსკის, ყვარლის, ცხაკაიას და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები და პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვის, შერჩევისა და კურსებზე დროულად მოვლინების საქმეს, რითაც უზრუნველჰყვეს დახელოვნების გეგმების შესრულება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზაფხულის პერიოდში საქურსო ღონისძიებათა გატარების საქმეში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს:

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, თეთრიწყაროსა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი განაცხადის მიხედვით დასახელოვნებელი კონტინგენტის გეგმების შესრულება. მცხეთის, ოჩამჩირის, გულრიფშის, ხულოს, ზნაურის, სიღნაღის, გეგეჭკორის, წულუკიძისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებათა მხრივ ადგილი ჰქონდა კურსებზე დასახელოვნებელი კონტინგენტის დაგვიანებით და შეცდომით მივლინების ფაქტებს.

იმის გამო, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, ბოლნისის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს, წყალტუბოსა და მცხეთის რაიონების განათლების განყოფილებებმა არ მოაწვინეს სათანადო კონტინგენტი, არ შესდგა მეზილეობის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შეზღვევით გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი):

ა) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს 1964 წლის საქურსო ღონისძიებათა გეგმის დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

ბ) დროულად მიიღოს საჭირო ზომები ახალი ამოცანების შესაბამისად 1965 წლის საქურსო ღონისძიებათა დაგეგმვისა და შესრულებისათვის;

გ) ინსტიტუტის ფილიალებთან ერთად უფრო გულდასმით შეისწავლოს და გამოავლინოს ადგილებზე დასახელოვნებელი კონტინგენტი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და პროფკავშირის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) აღრიცხონ და ჩაატარონ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა 1965 წელს დახელოვნების კურსებზე მისაველინებელ მასწავლებლებსა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა შორის, ამ ღონისძიების გატარებისას განუხრელად დაიცვან საქართველოს ასსრ განათლების სამინისტროს მითითებანი;

ბ) 1964 წლის 15 ნოემბრამდე გადაუზავნონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს 1965 წელს დასახელოვნებელი კონტინგენტის განაცხადი;

გ) 1965 წელს დახელოვნების კურსებზე მისაველინებელი კონტინგენტის საკითხი განიხილონ სამინისტროების კოლეგიებზე, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, სათანადო საქალაქო და სარაიონო პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად;

დ) გაუწიონ სათანადო დახმარება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მისი სოხუმის, ქუთაისისა და ცხინვალის ფილიალებს დახელოვნების კურსებისა და სემინარების ჩატარებაში.

3. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, თეორი-წყაროს, მცხეთის, სიღნაღის, გეგეჭკორისა და წულუკიძის რაიონების განყოფილებებმა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა წარმოუდგინონ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მოხსენებითი ბარათი 1964 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა გეგმების შეუსრულებლობისა და დასახელებული კონტინგენტის დაგვიანებით მივლინების შესახებ.

4. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა პედაგოგიური დახელოვნების საქმეს.

5. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართვე-

ლომ (ა. კვაჭაძე) 1965 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს სათანადო სახსრები მსმენელთა კონტინგენტის კულტურულ-მასობრივი მომსახურებისათვის.

6. აღნიშნული დადგენილება განხილული იქნას აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სათანადო საქალაქო და რაიონულ პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრებისა (ი. კვიციანი) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმო-მასობრივი მუშაობის (მ. ლომჯარია) განყოფილებებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკო-
ლებისა და სამეცნიერო დაწე-
სებულებების მუშაობა პროფ-
კავშირის რესპუბლიკური კომიტე-
ტის თავმჯდომარე

ლ. მალაფერიძე

დ ა დ გ ე ნ ი ლ მ ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1964 წლის 2 ოქტომბერი

საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მეოთხე პლენუმის (1964 წლის 13 მაისი) დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. 1964 წლის 25 ოქტომბრიდან დაიწყოს და 1965 წლის 25 იანვრამდე დამთავრდეს საქართველოს სსრ სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერება.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების დებულება (თან ერთვის).

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სკოლების და სკოლა-ინტერნატების ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: აშხ. ი. ბეროზაშვილი (კომისიის თავ-რე), აშხ. ლ. თვაური (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), აშხ. ბ. ფერაძე, ს. ტონია, მ. ლომჯარია, ს. არველაძე (კომისიის მდივანი), დ. გიორგაძე და ე. ქანტუარია.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების,

უმადლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების დებულების შესაბამისად, შექმნან დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები და გაატარონ საჭირო ღონისძიებები სკოლების, სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების დათვალიერების შედეგების შესახებ მასალები წარმოუდგინონ რესპუბლიკურ კომისიას 1965 წლის 25 იანვრამდე.

5. დაევალოს დამთვალიერებელ რესპუბლიკურ კომისიას პერიოდულად შემოწმოს ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

6. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას პერიოდულად გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე ლ. მაღლაფერიძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების შეზახებ

I. მიზანი და ამოცანები

საზოგადოებრივმა დათვალიერებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების მოწყობას, აგრეთვე არსებული კაბინეტების შევსებასა და კეთილმოწყობას.

II. საზოგადოებრივი დათვალიერების დრო

ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერება ტარდება 1964 წლის 25 ოქტომბრიდან 1965 წლის 25 იანვრამდე.

III. დათვალიერების მონაწილენი

დათვალიერებაში მონაწილეობს ყველა რვაწლიანი, საშუალო სკოლა და სკოლა-ინტერნატი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ფაბრიკა, ქარხანა და შეფორგანიზაციები.

IV. დათვალიერების ხელმძღვანელობა და შედეგების შეჯამება

1. დათვალიერების ჩასატარებლად იქმნება რაიონული (საქალაქო) კომისიები პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და განათლების განყოფილების წარმომადგენელთა შემადგენლობით მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომების მიერ.

მსგავსი კომისიები იქმნება ადგილებზე სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში, რასაც ამტკიცებს პროფკავშირის რაიონული (საქალაქო) კომიტეტი და განათლების განყოფილება.

2. თვითმუშა სკოლის, სკოლა-ინტერნატის დათვალიერების შედეგებს იხილავს შესაბამისი რაიონული (საქალაქო) კომისია. დათვალიერების ყველა მასალა, მოკლე ანგარიში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ წარედგინება რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას 1965 წლის 25 იანვრამდე.

V. საზოგადოებრივი დათვალიერების პირობები

დათვალიერების ჩატარების პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციები პრაქტიკულ დახმარებას უნდა უწევდნენ სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს, რომ წარმატებით შეასრულონ სკკპ XXII ყრილობის და სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილებანი ახალი თაობის მეცნიერული და ტექნიკური ცოდნით შეიარაღებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ამ მიზნით საჭიროა:

ა) მოწყობილ იქნას ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები იმ სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში, რომელთაც ჯერ კიდევ ასეთი არ აქვთ. რისთვისაც საჭიროა გამოიყოს შესაფერისი სათავსოები;

ბ) შეივსოს სათანადო ხელსაწყოებითა და დანადგარებით ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები;

გ) მომარაგებულ იქნას კაბინეტები საჭირო რაოდენობის პრეპარატებით, რეაქტივებით და ხელსაწყო-იარაღებით პროგრამულ მასალასთან დაკავშირებული ცდების ჩასატარებლად.

სკოლების, სკოლა-ინტერნატების დათვალიერების შედეგები რესპუბლიკაში შეჯამებულ იქნას 1965 წლის 20 თებერვლისათვის.

რაიონული (საქალაქო) დამთვალიერებელი კომისია დათვალიერების შედეგებს წარუდგენს რესპუბლიკურ კომისიას, რესპუბლიკური კომისია კი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964
წლის 14 ოქტომბრის ბრძანება № 1108

სკოლებში სხვადასხვა სანახაობათა ბილეთების გავრ-
ცელების აკრძალვის შესახებ

განათლების სამინისტროში არსებული მასალებით დასტუ-
დება, რომ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ამა თუ იმ ღონისძიებების
ჩასატარებლად სკოლაში ფულის შეგროვების შემთხვევები. სხვადას-
ხვა ორგანოების დავალებით სკოლებში ვრცელდება სანახაობათა
ფასიანი ბილეთები. მაგალითად, გასული სასწავლო წლის განმავ-
ლობაში მარტო თბილისის ერთერთი სკოლის 950 მოსწავლეზე
გავრცელებული იქნა რუსული და ქართული მოზარდმაყურებელთა
თეატრის 1000 ცალი აბონემენტი და სხვადასხვა სანახაობის 1950
ბილეთი. აბონემენტებისა და ბილეთების გავრცელება უხდებათ
კლასების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, როშელთაც დიდი
მუშაობისა და დროს დახარჯვა სჭირდებათ ბილეთების ღირებულე-
ბის ასაკრებად.

მიზანია რა ეს გარემოება დაუშვებლად, ებრძანებ:

1. აიკრძალოს მოსწავლეთა შორის ყოველგვარ სანახაობებზე
და ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია, გარდა
მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების აბონემენტისა.

2. მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების აბონე-
მენტების რეალიზაცია სკოლაში მოხდეს მხოლოდ აღნიშნული თე-
ატრების წარმომადგენელთა მეშვეობით.

3. აბონემენტების საფასურის შეგროვების უფლება მიეცეს
მხოლოდ მშობელთა კომიტეტის წევრებს.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,
სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყო-
ფილებათა გამგებმა დაუყოვნებლივ გააცნონ აღნიშნული ბრძა-
ნება თითოეულ სკოლასა და სკოლა-ინტერნატს და დააწესონ
მკაცრი კონტროლი ბრძანებაში მითითებულ ღონისძიებათა შესას-
რულებლად.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. დაშქაჩაშვილი

გ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
16/XII 1963 წელი

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადახა-
ყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შეხახებ

1. ზოგადი დებულებანი

1. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სასწავ-
ლო პროგრამებით სწავლადამთავრებულ მოქალაქეთა გამოცდები
ტარდება იმ მიზნით, რომ გამოვლინებულ იქნეს მსმენელთა მყარი
და სრულყოფილი ცოდნა პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. გამოცდები ტარდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მსმე-
ნელები აითვისებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მიერ დამტკიცებული პროგრამებით გათვალისწინებულ მთელ მა-
სალას.

3. გამოცდები ტარდება სხვადასხვა ვადაში, იმის მიხედვით,
თუ როდის დაამთავრებენ მსმენელები საპროგრამო მასალის გა-
ვლას.

4. წერა-კითხვის უცოდინარ, მცირემცოდნე და რუსული ენის
არამცოდნე წვეგამდელთა გამოცდებს ატარებს მასწავლებელი სკო-
ლის დირექტორის, რაიონის განათლების განყოფილებისა და სამ-
ხედრო კომისარიატის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

5. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა გამოსა-
შვებ გამოცდებს ატარებს მასწავლებელი სკოლის დირექტორისა
და რაიონის განათლების განყოფილების წარმომადგენლის თანდას-
წრებით.

6. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შემოწმე-
ბით გამოცდების შედეგები ფორმდება ოქმით, სადაც შეტანილი
უნდა იქნეს მსმენელის გვარი, სახელი, მამის სახელი და შეფასე-

ბის ნიშნები. ოქმს ხელს აწერს გამომცდელი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარმომადგენელი. გაფორმებული ოქმი იგზავნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში.

7. მსმენელებს, რომელთაც დაამთავრეს მეცადინეობა წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით და ჩააბარეს გამოცდები დადებით ნიშნებზე, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება აძლევს დამთავრების მოწმობას იმის მიხედვით, თუ რომელი სასწავლო პროგრამით გაიარა კურსი.

8. მოწმობების გაცემის რეგისტრაციონ ხდება განსაკუთრებულ წიგნში, რომელიც ინახება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში. წიგნში აღინიშნება რიგითი ნომერი, თარიღი, მსმენელის გვარი, ინიციალები და იმ პროგრამის დასახელება, რომლითაც მეცადინეობდა მსმენელი; ამასთან დასახელებს ის ორგანიზაცია, სადაც ჩატარდა სწავლება, აღინიშნება აგრეთვე ხელმოწერა მოწმობის მიღებაზე. შენიშვნაში შეიტანება, თუ რის საფუძველზე იქნა გაცემული მოწმობა.

9. გამოცდების შემდეგ წერაკითხვის მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით სწავლადამთავრებულებთან ტარდება საუბარი, სადაც მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით დაისახება მათი შემდგომი მეცადინეობის გეგმა, სწავლადამთავრებულებს ეძლევათ რჩევა იმის შესახებ, თუ სად უნდა განაგრძონ სწავლა, როგორ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, დაესწრონ ლექციას, მოხსენებას, მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან არსებულ სხვადასხვა წრეში და სხვ.

10. მსმენელები, რომლებმაც სათანადო პროგრამით შეისწავლეს წერაკითხვა, იწყებენ მეცადინეობას მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით.

გამოცდების ჩატარების წესი და ცოდნის შეფასება

11. ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს მეცადინეობა წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით, აბარებენ გამოცდებს მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში (წერა და კითხვა), ხოლო მცირემცოდნენი—დამატებით გეოგრაფიაში.

12. მსმენელს გამოცდის დროს კითხვის ჩვენების შესაშორებლად სახელმძღვანელოდან ან ადგილობრივი გაზეთიდან მიეცეს იმგვარი მასალა, რომელიც წინათ არ წაუკითხავს, ტექსტის შრიფტი უნდა იყოს ისეთი, რომელსაც მიჩვეული არიან მოსწავლეები. მასალის შინაარსი უნდა იყოს მარტივი, უცნობი სიტყვებისა და ახალი ცნებებისაგან თავისუფალი.

13. მსმენელთა ცოდნის შეფასება წარმოებს ხუთბალიანი სისტემით.

14. გამოცდების დამთავრების შემდეგ მსმენელის ზეპირი პასუხის, მისი წერიტი ნამუშევრისა და წლიური წარმატების საფუძველზე იწერება მისი ცოდნის შეფასება მშობლიურ ენაში (ცალკე კითხვაში და ცალკე წერაში), აგრეთვე არითმეტიკასა და გეოგრაფიაში.

15. კითხვისა და წერის ჩვენებისა და არითმეტიკის ცოდნის შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკული ხასიათის საკითხებს: კითხვაზე პასუხის გაცემა, განცხადების დაწერა, მოკლე წერილის შედგენა, თარიღის დასმა, ამოცანის ამოხსნა მოსავლის გამოანგარიშების დარგიდან, გამომუშავების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გარკვევა და სხვ.

16. კითხვის ჩვენების შემოწმება ტარდება ინდივიდუალურად. მოსწავლე ტექსტს კითხულობს ჯერ თავისთვის. წერა-კითხვის უცოდინარ მსმენელს წასაკითხად მიეცემა 10—15 სიტყვიანი ტექსტი, მცირემცოდნე მსმენელს კი უფრო რთული, 50—100 სიტყვიანი ტექსტი.

როდესაც მსმენელი წაიკითხავს და მოითქვრებს წაკითხულის შინაარსს, მასწავლებელი მისცემს მას წაკითხული ტექსტიდან 2-3 საკონტროლო კითხვას ან, თუ ტექსტი თხრობისათვის მოსახერხებელია, წინადადებას აძლევს მსმენელს უამბოს წაკითხულის მოკლე შინაარსი. ამის შემდეგ მსმენელმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს ტექსტის ნაწილი.

17. მსმენელი არ შეიძლება ჩაითვალოს სწავლადამთავრებულად, თუ მან ვერ გაიგო წაკითხული მასალა კითხვის ცუდი ტექნიკის გამო ან თუ მასალა გაიგო, მაგრამ გამართულად ვერ კითხულობს ან ხშირად ამახინჯებს სიტყვებს.

18. წერის ჩვენების შემოწმებისათვის ტარდება კარნახი. გამოცდებზე მისაცემი კარნახის ტექსტს შეარჩევს და ამტკიცებს რა-

იონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება, კარნახის ტექსტი გადასაყვან გამოცდებზე უნდა შედგებოდეს 15-25/ სიტყვისაგან და შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ ბულ ორთოგრაფიულ მოთხოვნებს. სიტყვები გასაგები უნდა იყოს მოსწავლეთათვის თავისი შინაარსით და მარტივი თავის შედგენილობით (კარნახის ტექსტში არ უნდა იყოს გრძელი და ძნელად გასაგები სიტყვები).

კარნახის ტექსტი წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამით სწავლადამთავრებულთათვის უნდა შედგებოდეს 50—60 სიტყვისაგან და შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ტექსტი მთლიანი შინაარსის უნდა იყოს.

19. მსმენელები კარნახს წერენ ცალკე ფურცლებზე. ზევიდან მსმენელი აწერს თავის გვარს, ინიციალებს და სამუშაოს შესრულების თარიღს.

20. მსმენელი არ ჩაითვლება სწავლადამთავრებულად, თუ მან ნაწერში ასოები გამოტოვა ან იმდენად დაამახინჯა სიტყვები, რომ ნაწერის გაგება ძნელია, ან დაუშვა კარნახში 5-ზე მეტი შეცდომა შესწავლილი წესებიდან.

კარნახში არასწორად დაწერილი ერთი და იგივე სიტყვის განმეორება ითვლება ერთ შეცდომად. ერთნაირი ხასიათის შეცდომები სხვადასხვა სიტყვაში ცალ-ცალკე აღირიცხება.

21. გადასაყვან წერით გამოცდებზე არითმეტიკაში წერა-კითხვის უცოდინარ მოსწავლეს მიეცემა 1—2 მოქმედებიანი ამოცანა და ოთხი მაგალითი მთელ რიცხვებზე მოქმედებიდან პროგრამის ფარგლებში.

მცირემცოდნე მოსწავლეს გამოსაშვებ გამოცდაზე არითმეტიკაში მიეცემა 2—3 მოქმედებიანი ამოცანა და 4 მოქმედებიანი 5—6 მაგალითი მთელ რიცხვებსა და მარტივ მოქმედებიან ათწილად ნაწევრებზე.

22. წერით საგამოცდო მასალას არითმეტიკაში ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

23. ზეპირი გამოცდები არითმეტიკაში ტარდება წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მსმენელის წერით ნამუშევარში არის შეცდომები, ზეპირ გამოცდებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკითხებს, რომლებშიც მსმენელმა შეცდომა დაუშვა.

24. მსმენელი არ ითვლება სწავლადამთავრებულად, თუ მისი წერითი ნამუშევარი არაღამაკმაყოფილებლადაა შეფასებული, ან

ზეპირ გამოცდებზე გამოამუშავნა პროგრამით გათვალისწინებული
არითმეტიკულ მოქმედებათა აუთვისებლობა.

25. ამ ინსტრუქციის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს 1952 წლის 14 ოქტომბრის ინსტრუქცია წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა
სასწავლო პროგრამით სწავლადამთავრებულ მოსწავლეთა
გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ.

დანართი № 1.

გ რ ა მ ა რ ა № _____

ამით დასტურდება, რომ _____

_____ რაიონის (ქალაქის) სოფელ

(ქუჩის) _____ მცხოვრებმა

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

196__ წელს ჩააბარა წერა-კითხვის უცოდინართა სასწავლო პრო-
გრამებით გათვალისწინებული საგნები და გამოიჩინა შემდეგი წარ-
მატება:

1. მშობლიურ ენაში: წერა _____

კითხვა _____

2. არითმეტიკაში _____

_____ განთლების განყოფი-

_____ რაიონის (ქალაქის)

ლების გამგე _____

ბ. ა.

_____ დირექტორი (გამგე)

სკოლის სრული დასახელება

" _____ "

196 წელი

დანართი № 2

მ ო წ მ ო ზ ა № _____

ამით დასტურდება, რომ _____

_____ რაიონის (ქალაქის) სოფელ
(ქუჩის) _____ მცხოვრებმა

სახელი, მამის სახელი, გვარი

196__ წელს ჩააბარა წერა-კითხვის მცირემსოცდენეთა სასწავლო
პროგრამებით გათვალისწინებული საგნები და გამოიჩინა შემდეგი
წარმატება:

1. მშობლიურ ენაში: წერა _____

კითხვა _____

2. არითმეტიკაში _____

3. გეოგრაფიაში _____

_____ განათლების განყოფილების
რაიონის (ქალაქის)

გამგე _____

მ. წ.

_____ დირექტორი (გამგე) _____
სკოლის სრული დასახელება

„ _____ 196__ წელი

შიდაპასი

| | |
|--|----|
| 1. დადგენილება ქ. სამტრედიის კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების არასწორი მოქმედების შესახებ | 3 |
| 2. დადგენილება რესპუბლიკის სოფლის სკოლებში მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ | 6 |
| 3. დადგენილება საქართველოს სსრ რვაწლიანი და საშუალო სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში მე-13 რესპუბლიკური კონკურსის— „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“—შედეგებისა და მე-14 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 9 |
| 4. ბრძანება № 1017—სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 27 ნოემბრის № 1061 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ | 41 |
| 5. ბრძანება № 1019—ფიზიკა-მათემატიკის პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 44 |
| 6. ბრძანება № 1044—ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-17 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 52 |
| 7. ბრძანება № 1045—ინვენტარისა და მოწყობილობათა მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ | 62 |
| 8. Приказ № 1045—О целесообразном использовании инвентаря и оборудования | 65 |
| 9. ბრძანება № 1050—თბილისის სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა და სასკოლო მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელთა შორის მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ | 68 |
| 10. დადგენილება—სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ | 70 |
| 11. ციკლურული წერილი № 3/2071 | 77 |
| 12. ბრძანება № 1070—მსოფლიო გამოფენისათვის—„ბავშვთა შემოქმედება“—მზადების შესახებ | 78 |
| 13. დადგენილება საყოველთაო სწავლების საგუშაგოების შესახებ | 80 |
| 14. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1964 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ | 82 |
| 15. დადგენილება საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ | 86 |
| 16. ბრძანება № 1108—სკოლებში სტუდენტთა სანახაობათა ბილეთების გავრცელების აკრძალვის შესახებ | 90 |
| 17. ინსტრუქცია წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გალსახევისა და გამოსწავლის გამოცდების ჩატარების შესახებ | 91 |

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ავალაძე

ბელმოწერილად დასაბეჭდოდ 26/XI-64 წ. ანაწილის ზომა 6x10.
ჭაღვლის ხაზი 60x82. სასტამბო ფორმის რაოდენობა 6,25

შპკ. 1044.

უფ.—12695

ტ. 5000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის საბელმოწელო
კომიტეტის მთავარბოლოგრაფიურწეულობის ობოლასის სტამბო № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11 Главполиграфпрома государственного
комитета Совета Министров Груз. ССР по печати
Тбилисск. ул. Уш. Чхеидзе № 19

დანართი № 2

მ. ო. წ. მ. ო. ბ. ა. № _____

ამით დასტურდება, რომ _____

_____ რაიონის (ქალაქის) სოფელ
(ქუჩის) _____ მცხოვრებმა

სახელი, მამის სახელი, გვარი

196__ წელს ჩააბარა წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სასწავლო
პროგრამებით გათვალისწინებული საგნები და გამოიჩინა შემდეგი
წარჩატება:

1. მშობლიურ ენაში: წერა _____

კითხვა _____

2. არითმეტიკაში _____

3. გეოგრაფიაში _____

_____ განათლების განყოფილების
რაიონის (ქალაქის)

გამგე _____

შ. ა.

_____ დირექტორი (გამგე) _____

სკოლის სრული დასახელება

" _____ " 196__ წელი

შინაარსი

| | |
|---|----|
| 1. დადგენილება ქ. სამტრედიის კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების არასწორი მოქმედების შესახებ | 3 |
| 2. დადგენილება რესპუბლიკის სოფლის სკოლებში მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ | 6 |
| 3. დადგენილება საქართველოს სსრ რეაწლიანი და საშუალო სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში მე-13 რესპუბლიკური კონკურსის— „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“— შედეგებისა და მე-14 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 9 |
| 4. ბრძანება № 1017—სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 27 ნოემბრის № 1061 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ | 41 |
| 5. ბრძანება № 1019—ფიზიკა-მათემატიკის პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 44 |
| 6. ბრძანება № 1044—ნორჩ ფიზიკოსთა და ნორჩ ქიმიკოსთა მე-17 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ | 52 |
| 7. ბრძანება № 1045—ინვენტარისა და მოწყობილობათა მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ | 62 |
| 8. Приказ № 1045—О целесообразном использовании инвентаря и оборудования | 65 |
| 9. ბრძანება № 1050—თბილისის სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა და სასკოლო მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელთა შორის მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ | 68 |
| 10. დადგენილება—სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ | 70 |
| 11. ცირკულარული წერილი № 3/2071 | 77 |
| 12. ბრძანება № 1070—მსოფლიო გამოფენისათვის—„ბავშვთა შემოქმედება“— მზადების შესახებ | 78 |
| 13. დადგენილება საყოველთაო სწავლების საგუმავაგობის შესახებ | 80 |
| 14. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1964 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ | 82 |
| 15. დადგენილება საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ | 86 |
| 16. ბრძანება № 1108—სკოლებში სხვადასხვა სანახაობათა ბილეთების გავრცელების აკრძალვის შესახებ | 90 |
| 17. ინსტრუქცია წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გალსაყუანს და გაშროსაშვებო გამოცდების ჩატარების შესახებ | 91 |

რედაქტორი უმ. თბოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XI-64 წ. ანაწყოების ზომა 6x10.
ქალაქი თბილისი № 60x84. სასტამბო უკრძაოს რედაქციის № 6,25

შეკ. 1044.

უფ.—12695

ტ. 5000.

საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლოგრაფრეწვეულობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უმ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11 Главполиграфпрома государственного
комитета Совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Ули. Чхеидзе № 19